ცნობის ფურცელი

№ 1904 პარასკევი, 23 აგვისტო. 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1904

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

მართა ივანეს ასული ხოსროევი და ნინო მაქსიმეს ასული ხოსროევისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი შვილისა და მეორე მეუღლის

დავით ისიდორეს ძე ხოსროევისას.

დასაფლავება მოხდება კვირას, 25 აგვისტოს. მიცვალებულის ბინა: ავჭალის ქუჩა, სარქისოვის სახლი № 9. მიცვალებულს გაასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ—კუკიის სასაფლაოზე. (2—2)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდან)

გადადის ერთ შენობაში ,,სევერნი ნომრების'' ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო), (0—13)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მიხეილ ზედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ს. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ძ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვების 11—12 საათამდე.

ა. ვ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

ვ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სოზოლევსკი—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 1—3 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (შარდ-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური კაბინეტი.)

ვ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21. (ვორონცოვის ხიდის პირდაპირ.

ტელეფონი № 274. (წლ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის. კვირა-უქმე-დღეებში 10—1-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

(მიხეილის ქუჩა, 30)

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელაშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს საღამოთი 5—8 საათ.

წყნეთის ქუჩა № 24 სახ. ვაჩნაძისა. (წ).

საზღვარ-გარედ

გერმანია. ბერლინელი გაზეთები ბევრს ლაპარაკობენ იტალიის მეფის ვიქტორ ემმანუილის გერმანიაში მოსვლაზე. ერთი ოფიციოზური გაზეთი ამბობს: „მეფე ვიქტორ-ემმანუილი რამდენიმე დღის შემდეგ იქნება სასურველი სტუმარი იმპერატორის და მეფისა. ეს პირველი ნახვაა ვიქტორ-ემმანუილის ტახტზე ასვლის შემდეგ და ჩვენი იმპერატორისა და მას ამტკიცებს, რომ მეგობრული გრძნობა, რომლითაც გერმანიაში ეგებებოდნენ ხოლმე რაინდ მეფეს ჰუმბერტოს, უცვლელი სიწრფელით გადასულა მის შვილს და ტახტის მემკვიდრეზე. ეს მეგობრობა ორი დინასტიის შორის ფრიად ძვირფასია გერმანელ და იტალიელი ხალხისთვის, როგორც თავმდები პოლიტიკური ურთი-ერთობის სიმტკიცისა, რომელიც აკავშირებს ამ ორ მხარეს ერთმანეთთან და ავსტრო-ჰუნგრეთთან. სამთა კავშირი დამყარებულია შუა-ევროპის ქვეყნების ხელუხლებლობის აუცილებლობაზე. ეს კავშირი არც ერთ სახელმწიფოს ძალად არ აკისრებს ისეთ ტვირთს, რომლის ზიდვა თავის ნებითაც არ ეკისროს თვითოეულ მათგანს, რადგან ამას მათი ინტერესები მოითხოვს. ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ მეფის ამალაში ვხედავთ მინისტრ პრინეტტის, იტალიის სახელმწიფო მოღვაწეს, რომელმაც ხელი შეუწყო ამ ძვირფასი სისტემის განახლებას ტერრიტორიული ხელუხლებლობისას“.

მეორე გაზეთი, ვენელი, სიამოვნებით აღნიშნავს იტალიის მეფის მისვლას გერმანიაში, რადგან დიდი ხანი არ არის, რაც პრუსსაში ლაპარაკი იყო იტალია ჩამოშორდა გერმანიასაო. ეს მეგობრული შეხვედრა ახლა ცხადათ ამტკიცებს, რომ ჯერ ადრე იყო სამთა კავშირის დამარხვაზე ლაპარაკი. ამასთანავე გაზეთი აღნიშნავს კავშირის მშვიდობიან მიმართულებას და ამბობს, რომ იგი არას დროს არა ყოფილა ასე დაახლოვებული რუსეთთან, როგორც დღეს. და ეს ხომ ახლა უფრო განამტკიცებს ევროპის მშვიდობიანობასო.

იმავე აზრისა არიან ინგლისური გაზეთები. „დეილი ტელეგრაფ“-ი ამბობს, რომ დღევანდელი ევროპის ტახტები ისეთი ხასიათის მეფეებს უჭირავთ, რომ სრული დარწმუნებული უნდა ვიყოთ მშვიდობიანობა მტკიცედ იქნება დაცულიო. როდესაც ვილჰელმ II-ე ტახტზე ადიოდა ყველას იგი ომის მოყვარე ეგონა, ახლა-კი მან მოიხვეჭა მშვიდობიანობის რაინდის სახელიო. მისი და ვიქტორ ემმანუილის ნახვა უფრო განამტკიცებს მშვიდობიანობასო. ასე წინასწარმეტყველობენ გაზეთები და შეიძლება ზოგი სიმართლეც ერიოს მათ მოსაზრებაში. მაგრამ რამდენად სასარგებლოა თვით იტალიისთვის სამთა კავშირის განახლება, ეს ძალიან სადაოა. იტალია ღარიბი ქვეყანა და გერმანია—ავსტრიასთან ერთად სიარული მილიტარიზმის გზაზე მას ხელს არ მისცემს. მას მრავალი შინაური საქმე აქვს მოსაწყობი, რომელზეც ბევრით უფრო დამოკიდებულია იტალიის ერის ბედნიერება და კეთილდღეობა. სამთა კავშირის პოლიტიკამ კი უკვე დაუმტკიცა იტალიას, თუ რა ძნელია მისთვის მოკავშირეობა. რეალურ სარგებლობას კავშირი მას არ ანიჭებს. ხოლო მადას უღვიძებს ტერრიტორიულ გადიდებისას. რამდენიმე წლის წინად სამარცხვინოდ დამარცხდა აბისინიაში; ახლა კიდევ არ სტოვებს ამ პოლიტიკას და ჩრდილო აფრიკაში იყურება.

საფრანგეთი. ბრეტანში მომხდარ კლერიკალურ უწესოებების გამო, სხვათა შორის, დაპატიმრებულია მებატონე დე-კერდანე, რომელსაც ჰბრალდება ფინისტერის სუ-პრეფექტის გალახვა. სამართალში მისცეს აგრეთვე სენატორი შამაიარი და რამდენიმე მებატონე, რომელნიც ხმას ავრცელებდნენ გლეხებში, შემნახველ კასებიდან ფული გამოიტანეთ, თორემ სახელმწიფო დღეს—ხვალ გაკოტრდება და ფული დაგეკარგებათო. მანიფესტაციებში მონაწილეობის მიღებისთვის სამართალში მიცემულია აგრეთვე რამდენიმე მღვდელი.

სამოსამართლო მთავრობა ცდილობს შეკრიბოს საბუთები დამნაშავეთა წინააღმდეგ, მაგრამ, როგორც გაზ „მატენ“-ის კორრესპონდენტი იწერება ფინისტერიდან, საქმე ძალიან ძნელდება: მოწმეებს ვერა შოულობენ, თუმცა ზოგჯერ მთელი ხალხის თვალ-წინ გლეჯდნენ პოლიციის ბეჭედს. მოხელეებს არ შეეძლოთ ყველაფრის დანახვა, რადგან იმას უნდებოდნენ, რომ თავი დაეცვათ აღელვებული ხალხისაგან. იუსტიციის მინისტრმა ბრძანება გასცა სამართალში მიცემის დროს არავითარი ყურადღება არ მიაქციოთ იმას, თუ რა ადგილი უკავია საზოგადოებაში კანონის დამრღვეველსო. კემპერის პროკურორი, რომელიც დასასვენებლად დათხოვნილი იყო, ისევ უკან დააბრუნეს. როგორც სჩანს, წინააღმდეგობის ხანას სასჯელის ხანა მოჰყვება.

ბულგარეთი. 15 წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც თავადი ფერდინანდი ავიდა ბულგარიის სათავადოს ტახტზე. ვენის გაზეთებმა გრძელი წერილები უძღვნეს მას, თუ რა როლს ასრულებდა თავადი ფერდინანდი ბულგარეთის პროგრესის და განათლების საქმეში და საზოგადოდ კარგი აზრისა არიან მის მოქმედებაზე. ამასთანავე დასძენენ, რომ უკეთესი თანაშემწეები რომ ჰყოლოდა, თავადი უფრო შესამჩნევ სარგებლობას მოუტანდა მხარესო, მაგრამ არც ახლაა მისი ცდა უნაყოფოო. ვენაში მხოლოდ იმას სწუხან, რომ მაკედონიის მოძრაობამ ფეხი მოიკიდა ბულგარეთში, თუმცა თავად ფერდინანდს ვერ შევწამებთ, რომ ნებით ან უნებლიეთ ხელი შეეწყოს იმ მოძრაობისათვის, რომელიც უპირველეს ყოვლისა თვით ბულგარეთისთვის არის საზიანოო.

ჩინეთი. „ლაფფანის სააგენტოს“ მიუღია ზოგიერთი ცნობა ორი მისიონერის შესახებ, რომელნიც ხუნანის პროვინციაში მოუკლავთ. ეს მისიონერები არიან ბრუსი და ლუისი, რომელნიც ის იყო დაბრუნდნენ თავის მისიაში და სიკვდილის წინად სწერდნენ თავის მეგობრებს, ჩინელები ძალიან მეგობრულად გვექცევიანო. მიზეზი ასეთი მოულოდნელი ცვლილებისა თურმე ის იყო, რომ ხმა გავარდა, ვითომ მისიონერებმა გაავრცელეს ხოლერის ეპიდემია, რომელმაც რამდენიმე ადგილობრივი მკვიდრი იმსხვერპლაო.

ხალხმა დაანგრია და დასწვა მისიის სახლი, თვითონ მისიონერები მოჰკლეს და ის ჩინელები, რომელნიც მისიას ეკუთვნოდნენ, დასჭრეს.

პრინც ცინმა თვისი მწუხარება გამოუცხადა სატოუს და დაჰპირდა, რომ მკვლელები შესაფერად დასჯილნი იქნებიანო.

ინგლისის ერთი კანონერი ზღვაოსნებით, რომელნიც მაზე იყვნენ, წავიდა ყვითელი მდინარიდან იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მოხდა. ინგლისის მისიის წარმომადგენელიც მათ თან წაჰყვა ჩინელი ჯარის კაცების ესკორტით.

სადაც კი მისიონერები გაერევიან, საფრანგეთისაა თუ ინგლისისა, ყოველგან არეულობას და უწესოებას იწვევენ, მაგრამ მაინც ცდილობენ, რომ საცოდავ ჩინელებს თავზე მოახვიონ ის, რაც ევროპაში უკვე დაგმობილია.

ახალი ამბავი

◆ სამოქალაქო საექიმო მმართველობას კავკასიაში იმის პროექტი შეუდგენია, რომ **ეხლანდელი სასოფლო ქსენონები სხვანაირად მოეწყოს.** ამ ქსენონების მაგიერ ყოველ ადგილას უნდათ გამართონ სასოფლო საავადმყოფოები, ექვსის საწოლით ყოველს მათგანში. პროექტში ისიცაა მოხსენებული, რომ ხალხის ჯანმრთელობის საქმე უკეთესს მდგომარეობაში იქმნეს და ამისათვის ექიმებისა და სხვა მოსამსახურეთა რიცხვსაც მოუმატებენ თურმე.

◆ უმაღლესის ბრძანებით, უწმ. სინოდმა, როგორც „კავ.“-შია გამოცხადებული, შეიწყნარა საქართველოს ეგზარხოსის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ჟურნალს «Духов. Вѣст. Груз. экзархата“-ს **მოემატოს წლიური ფასი** (5 მან. 4 ნაცვლად) **და ამავე ჟურნალში აღარ იბეჭდებოდეს ოფიციალურ ნაწილის ქართული თარგმანი.** ფასის მომატება საჭიროდ უცვნიათ ჟურნალის გასაუმჯობესებლად და აგრეთვე იმიტომ, რომ ტფილისში სასტამბო საქმე ძვირადა ჯდებაო; ხოლო ქართულის თარგმანის ბეჭდვის გაუქმება იმას გამოუწვევია, რომ „საქმის წარმოება კავკასიაში და ამიერ-კავკასიის მთავრობის დაწესებულებებში სწარმოებს მხოლოდ რუსულს ენაზე“.

◆ მიწათ-მოქმედების სამინისტროსაგან ამ ზაფხულს გამოგზავნილი იყო ამ **სამინისტროს მოხელე თავ. მასალსკი,** რომელსაც უნდა დაეთვალიერებინა კიდეც ჩვენი ქვეყნის დასავლეთ მხარეში ყველა ის ადგილები, სადაც მთავრობის მიერ გამართულია უმაღლესს კულტურის მცენარეთა სანერგეები. თავ. მასალსკის საჭიროდ დაუნახავს კიდევ ახალი სანერგეები და ეხლანდელი სანერგეებიც უნდა გადიდდეს, რომ ხალხმა მეტი სარგებლობა გამოიტანოს აქიდან.

◆ ოთხშაბათს, 21 აგვისტოს, სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც **სორის დუქნების** მოწყობა აქვს მინდობილი. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა მოიწვიოს საკლავ საქონლის თვალყურის სადევნებლად ბეითალი, რომელსაც წლიურ ჯამაგირად დაუნიშნოს 1200 მან. კომისიამ დაავალა დუქნების გამგეს აღარ იყიდოს საკლავი საქონელი ყაზახის მაზრაში, რადგანაც იქაურ საქონელს ერთ გვარი ავადმყოფობა აქვს (финозная болѣзнь). დასასრულ დუქნების გამგემ წარუდგინა კომისიას დასამტკიცებლად შემდეგი ნიხრი: 1 ხარ. ხორცი—11 კაპ., მეორე—8 კაპ. და მესამე—6 კაპ., კომისიამ არ დაამტკიცა ეს ნიხრი და მოსთხოვა აღიხანოვს ის საბუთები, რომლითაც იხელმძღვანელა ამ ნიხრის შედგენის დროს.

◆ გუშინ, 22 აგვისტოს, ქიმიკოსმა თავ. ნ. ა. ჩოლოყაშვილმა წარუდგინა ტფილისის ქალაქის გამგეობას პროექტი ტფილისის **ქუჩებისა და მოედნების გაზით განათებისა.** თავ. ჩოლოყაშვილი თვით კისრულობს ამ საქმეს. სასყიდლად თავადი ჩოლოყაშვილი თითო ფარნის 2200 საათს განათებისათვის თხოულობს 11 მანეთს. სახაზინო და საქველ-

მოქმედო დაწესებულებათა განათებისათვის თხოულობს 0,6 კაპეიკისისას, ხოლო კერძო სახლისა—0,8 კაპ. საათში. ჩოლოყაშვილი ქალაქს ყოველწლიურად ჰპირდება მთელის შემოსავლის 6% ს. ჰპირდება აგრეთვე იმ თანხას, რომელიც დასჭირდება ქალაქს ფარნების შესაძენად. დასასრულ ჩოლოყაშვილი სწერს, რადგანაც ელექტრონით განათებას გამგეობა ქალაქის ზოგიერთ მოედნებსა და ქუჩებს უპირებს, ნება მომეცით დანარჩენ მოედნებისა და ქუჩების გაზით განათება იჯარით ავიღოო.

✦ 9 სექტემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსია შეუდგება ბათუმში საქმეების განხილვას. სხვათა შორის, სასამართლო განიხილავს საქმეს ბათუმის გიმნაზიის **მოსწავლის კვახაძისას**, რომელმაც ამავე გიმნაზიის მასწავლებელი-ქალი ვ. ა. არნოლდი მოჰკლა.

✦ ოდესაში, როგორც „ჩერნ. ვესტ.“-ს ატყობინებენ, 19 წლის ყმაწვილ კაცს **ილარიონ ჩოკამაძეს მოუკლავს გემების დამტვირთვისა და გადმოტვირთვის საქმის მოიჯარადრე სამსონ კეთილაძე** კორესპონდენტის სიტყვით, კეთილაძეს ფულის საქმეების გამო წინადაც ხშირად მოსდიოდა თურმე ლაპარაკი თავის ნოქრებთან; ორჯელ იმის მოკვლაც კი განუზრახავთ. უკმაყოფილონი ყოფილან მუშებიც, რომელთაც ხშირად მცირე დანაშაულობისათვის სამართალში აძლევდა. სხვათა შორის, უკმაყოფილო ყოფილა კეთილაძისა ჩოკამაძე, რომლისათვისაც კეთილაძის ჩვენების ძალით მოსამართლეს ოთხის თვით დაპატიმრება გადაუწყვეტია. მკვლელობა ნავთ-სადგურში მომხდარა. ჩოკამაძე იქ დაჰხვედრია და ლაპარაკი დაუწყია. შემდეგ ორივენი წასულან; როდესაც ერთ გემის გვერდზედ გაუვლიათ, კეთილაძისთვის გემის უფროსს დაუძახნია. კეთილაძეს რუსულად შეუგინებია ჩოკამაძისთვის და გემისაკენ წასულა. მაგრამ ჩოკამაძეს ხელად ამოუღია ბებუთი და დაურტყამს. როდესაც ექიმი მისულა, კეთილაძე მკვდარი დაჰხვედრია. ჩვენების დროს მკვლელს უთქვამს, რომ კეთილაძეზედ ჩემი 50 მანეთი იყო და ამ ფულს აღარ მაძლევდაო.

✦ **ქალაქის საქონლის ჭირი გაჩენია.** ავადმყოფი საქონელი კარგად მყოფებს მოაშორეს და ექიმებს ჩააბარეს, თვალ-ყური ადევნონ. ამას წინად იყო კიდევ და კიკეთში გაუხდა ქალაქს საქონელი ავად. როგორც ნაანგარიშევია, 50-მდე საქონელი დაუხოცნიათ მთავრობის ბეითლებს და სამაგიერო ფული ქალაქს ჯერ არ მიუღია, რადგან იმის საბუთები არ წარუდგენია, რომ საქონელზედ გარდასახადი ბაჟი გადახდილი აქვს. ამ გვარად ქალაქს დიდი ზარალი უნდა ენახა ამ საქმეში.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ გაზეთ „ბაკინსკია იზვესტია“-ს **რედაქტორად მოუწვევიათ ბ-ნი უსპენსკი**, რომელიც წინად „ნოვ. ობოზრ.“ რედაქტორად იყო.

✦ ტფილისის სამხედრო-საბეგრო დაწესებულებაში **მონაწილედ დანიშნულია** სამხედრო უწყების ექიმი ლევი.

✦ დღეს, 23 აგვისტოს, დაიწყება **დამატებითი ეგზამენები ტფილისის რეალურ სასწავლებელში** და გაგრძელდება 28 აგვისტომდე

✦ საგარეჯოსა და აზამბურში **დიფტერიტი გაჩენილა.** მთავრობის განკარგულებით, ეს ადგილები მოუვლია გუბერნიის ექიმის თანაშემწეს ბ-ნ მაჭავარიანს და აღმოუჩენია, რომ დიფტერიტს აზამბურში ძალიან გაუდგამს ფესვი: 20 ავადმყოფიდან 18 მომკვდარა; საგარეჯოში 5 ავადმყოფი აღმოუჩენია ექიმს. სენის წინაამდეგ მცხოვრებლებს არავითარი საშუალება არ უხმარიათ. ექიმის რჩევით, მცხოვრებლები დასთანხმებულან და ყველა ბავშვებისათვის აუცრიათ დიფტერიტის საწინააღმდეგო სითხე. სასოფლო ექიმს დაავალეს, თვალ-ყური ადევნოს ამ აცრილებსა და ავადმყოფებსაც.

✦ ტფილისის მაზრის უფროსმა თავ. ჯანდიერმა შეატყობინა გუშინ საგუბერნიო სამკურნალო გამგეობას, რომ **მარტყოფის სამკურნალოს** შესანახად დღევანდლამდე შეკრებილია მხოლოდ 800 მანეთამდე. საჭიროა კიდევ 2000 მანეთიო. მაზრის უფროსი სწერს, რომ ხალხი სამუშაოდ არის გასული და ამის გამო ფული ვერ იკრიბებაო.

✦ სამი წელიწადია **გორში ქალაქის საავადმყოფო** არსებობს, მაგრამ დღემდე საავადმყოფოს საქმეები ვერ მოეწყო ხეირიანად. ამის შესახებ ამას წინად საგუბერნიო ექიმი შეჰკითხებია საავადმყოფოს გამგეს. თავის პასუხში გამგე მრავალს მიზეზს ასახელებს და, სხვათა შორის, ამბობს, თუმცა საავადმყოფო სამი წელიწადია არსებობს, მაგრამ მისი არსებობა დღესაც ბევრმა არ იცისო. ამას გარდა საავადმყოფო განაპირა ადგილას ყოფილა და ბევრნი მთელი საათობით ეძებენ თურმე. ზოგი ერიდება კიდეც საავადმყოფოს, რადგანაც იგი ერთ გვარ დაწესებულებას აკრავს გვერდით. გამგე ამასთან აცხადებს, რომ 30 კაპ. მომსვლელ ავადმყოფთათვის ძალიან ბევრიაო. უმთავრესი მიზეზი-კი საავადმყოფოს უნაყოფობისა, გამგის აზრით, მკითხავები და დალაქები არიან: ამათ უფრო ეტანება თურმე ხალხი, ვიდრე საავადმყოფოებს.

✦ ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწემ ქანანოვმა ამ დღეებში 40 **საჩივარი აღძრა** ტფილისის ზოგიერთ მცხოვრებთა წინააღმდეგ სანიტარულ პრობათა დარღვევისა და სხვა მიზეზებისა გამო.

✦ პოლიცმეისტერს მიუწერია ტრამვაის გამგებლებისათვის მე-9 და მე-10 უბანში **ტრამვაის ლიანდაგები** მოაწესრიგეთო და უფრო სუფთად შეინახეთო.

✦ დღეს, 23 აგვისტოს, სხდომა ექმნება ქალაქის საბჭოს კომისიას **ხორცისა და პურის ნიხრის შეცვლის** შესახებ მოსალაპარაკებლად.

✦ აქსენტი ცაგარლის გარდაცვალების გამო სამძიმრის დეპეშები რუსეთიდანაც მოვიდა: ადესიდან (ქართველთა კოლონია), პეტერბურგიდან (თავ. ნ. თავდგირიძისაგან, გ. ყაზახიშვილისაგან) და სხვათაგან.

✦ ლანჩხუთიდან გვწერენ: პირველ სექტემბერს უნდა აკურთხონ ახლად დაარსებული საქალაქო სასწავლებელი. სკოლის საპატიო მზრუნველად მთავრობამ უკვე დაამტკიცა შალვა ივ. ცინცაძე. ეს ის ცინცაძეა, რომელმაც დ. ლანჩხუთში პირველად დაიწყო წიგნის ვაჭრობა, გახსნა სამკითხველო და შემდეგ სამკითხველოს წიგნის სავაჭრო ძრიელ შეღავათიანი პირობით გადასცა და მით სამკითხველოს დაუშრეტელი წყარო აღმოუჩინა. ბ-ნი ცინცაძე, იმედია, სკოლის საქმეებს ჩვეულებრივის უნარით მოეკიდება. როგორც გავიგეთ, ბ-ნ ცინცაძეს განუზრახავს ეხლავე დააარსოს—„საზოგადოება ლანჩხუთის სამოქალაქო სკოლის ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელი“. ამ საზოგადოების დაარსება ფრიად საჭირო იქმნება სკოლის კეთილდღეობისათვის.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში შემდეგი ბოროტმოქმედების ჩადენა განუზრახავთ: ერთს კაცს სიყალბით მოუნდომებია 8400 მან. მიღება. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი დაახლოვებია ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეს გაბრიელიენკოს, რომლისთვისაც დაუვალებია ისეთ ქაღალდის შედგენა, რომლითაც ვითომ 8,400 მანეთი იგზავნება ბაქოში. გაბრიელიენკოს, როგორც გამოძიებით გამოირკვა, დაუმზადებია უწყება 8,400 მანეთისა. უწყებაში ნახსენები იყო, რომ ფული იგზავნება ქუთაისიდან ბაქოში. საქმე ასე მოუწყვიათ, მაგრამ ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის წყალობით ფული ვერ წაუღიათ. ამ უფროსს ეჭვი შეჰპარვია, რადგანაც ასე დიდ ფულს უფრო იაფად ყოველთვის ბანკის საშუალებით ჰგზავნიან ხოლმე, ამის გამო უფროსს მოუწერია ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორისათვის და უთხოვნია საქმის გამორკვევა. კანტორის მოხელეთ უნახავთ ქაღალდი. საიდანაც სჩანს თურმე ამ საქმის სიყალბე. გაბრიელიენკო ჯერ უარზე დადგა, მე არაფერი ვიციო, მაგრამ მერე გამოტყდა. შეიპყრეს ბაქოში აგრეთვე ის კაცი, რომელსაც ფული უნდა გაეტანა. ეს საქმე გამომძიებელს გადაეცა.

✦ ტფილისის მაზრის სოფელ საგარეჯოსა და მალხაზოვკაში აგვისტოს პირველიდან 20-მდე დიფტერიტით ავად 25 კაცამდე გამხდარა. ბევრნი გარდაცვლილან. საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს რ. დ. მაჭავარიანს დიფტერიტის საწინააღმდეგო წამლით აუცრია მცხოვრებლებისათვის, რის გამოც დიფტერიტი შედარებით შესუსტებულა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ განიხილა თხოვნა ტრანკაშვილისა, რომელიც იჯარით სთხოვს ვერის ხიდს ახლო მდებარე მიწას, სადაც მეტივეებს შეეძლოთ ტივების შეჩერება. გამგეობამ გადასწყვიტა საჯარო ვაჭრობით გასცეს ეს ადგილი. ამასთან გამგეობამ დაადგინა, ხსენებული ადგილი არ დაჭრონ და დასასახლებლად არ გასცეს.

✦ ივლისის განმავლობაში სხვა-და-სხვა ავადმყოფობისა გამო მიხეილის საავადმყოფოში გარდაცვლილა სულ 35 კაცი.

ქუთაისის ახალი ამბები

✦ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ არ შეიწყნარა ქუთაისის შუამდგომლობა ქუთაისზე მეორე ლიანდაგის გაყვანის შესახებ. იმ ქაღალდში, რომელიც ქალაქის გამგეობამ მიიღო, ნათქვამია: „სრულიად უსაფუძვლოა ქუთათურების ის საყვედური, ვითომც 1895 წელს ქუთაისზე რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ აღძრულ შუამდგომლობისათვის მთავრობას ჯეროვანი ყურადღება არ მიექციოს: თუმცა საკმაოა, კაცმა ერთი თვალი გადაავლოს ქუთაისის შიდამოებს, რომ დარწმუნდეს ქუთაისზე რკინის გზის გაყვანის უსარგებლობას, მაგრამ ამისდა მიუხედავად გზათა სამინისტრომ დიდ-ძალი ფული გადასდო ნაჩვენებ მიმართულების გამოსაკვლევად. ამ გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ეხლანდელ რკინის გზის მიმართულების შეცვლა ქუთაისზე ლიანდაგის გატარებით ერთი რომ—გზის პროფილსა და გეგმას გააფუჭებს, რადგან ვაკე ადგილების მაგივრად მთა-გორაკები, ხევები და ღელეები შეჰხვდება გზაში, მეორე—გზას მოემატება სიგრძე ათ ვერსამდის, რაც გამოიწვევს ყოველ-წლიურ ხარჯს 80,000 მანეთს, და მესამე—მოითხოვს მთავრობისაგან ერთდროულ ხარჯს 7,500,000 მანეთს. აი, ამ მოსაზრების ძა-

ფელეტონი

პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი

ნეტა ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქაც ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..
ილ. ჭავჭავაძე.

შარშან შემოდგომაზე საფრანგეთმა მისებურად დიდის ამბით იდღესასწაულა იუბილეი ორმოცი-და-ათის წლის მეცნიერული და საზოგადოებრივის მოღვაწეობისა ერთის მისის უდიდებულესის შვილის—ბერტელოსი. ამ ჩვენი დროის გენიოს ქიმიკოსის დღესასწაულს დაესწრნენ მის წარჩინებულ თანამემამულეთა გარდა სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი მეცნიერნიც. სწორედ დიდებული, გულის-აღმაფრთოვნებელი წამი იყო და გენიოსმა ერმა საფრანგეთისამ მოისურვა ცოცხლად დაეხატა ქვეყნისთვის ის ორი მთავარი აზრი, რომლებითაც ხელმძღვანელობდა ბერტელო თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს. ეს აზრი თურმე ამნაირად გამოხატა საფრანგეთის ერთმა გამოჩენილმა მოქანდაკემ ერის მინდობილებით: ჭეშმარიტება, მუდამ ნორჩ და უმანკო ქალად წარმოდგენილი, მოჰფენს მზის სხივებს ჩაფიქრებულად მჯდომ ბერტელოს, მეორე მომხიბლავი ქალი კი—განხორციელებული საფრანგეთი—დაფნის გვირგვინით შეუმკობს მას თავს. ამ სურათში ნათლად გამოიხატა ორი მთავარი აზრი, მიზანი ბერტელოს მოღვაწეობისა:—კვლევა-ძიება ჭეშმარიტებისა და თანაც სარგებლობა სამშობლო ქვეყნისა.

მე რომ მხატვარი ყოფილიყავ და ქართველი მეცნიერის იდეალის დასურათება მოენდოთ ჩემთვის, სწორედ მეც იმ საფრანგეთის მოქანდაკეს მივბაძავდი და იმგვარადვე დავხატავდი იდეალს ქართველის მეცნიერისას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჭეშმარიტების შუქით გაცისკროვნებულს ქართველს მეცნიერს დაფნისას კი არა ეკლის გვირგვინს დავადგამდი თავზე მშვენიერის ქართველის ქალის ხელით; ეს ქალი სამხიარულო კი არა სამგლოვიარო ტანისამოსით იქნებოდა შემოსილი და მის სახეს ნათლად ემჩნეოდა ბეჭედი უნუგეშობის, მწარე სევდისა.

ვინ არის დღეს ისეთი უმეცარი ჩვენში ან სხვაგან, რომ არ ესმოდეს უდიდესი მნიშვნელობა მეცნიერული კვლევა-ძიებისა და არ იყოს გამსჭვალული განუზომელის პატივისცემით იმ დაუცხრომელ, თავ-დადებულ მუშაკთადმი, რომლებსაც ეძახიან მეცნიერებს? ვინ არ იცის, რომ მეცნიერება პირმშო შვილია ცხოვრებისა და ერთ-გულად იკვლევს-იძიებს ცხოვრებისაგან წამოყენებულს მრავალს კითხვებს. მეცნიერების მეოხებით შეიმუსრენ ის მავნე ძალნი, რომელნიც თავზარსა სცემდნენ მოუმზადებელს, გონებით მხდალს ადამიანს. მეცნიერების იარაღით აღჭურვილმა ადამიანმა დაამსხვრია უმეცრების სათაყვანო კერპი და ფარდა აჰხადა ბუნების საიდუმლოებას. რა კი გაჩნდა ბუნების-მეტყველება, როგორც მეცნიერება, უფრო ღრმა, ბეჯითს საფუძველზე აშენდა საზოგადოებრივი მეცნიერებაც და ამ გვარად გამოირკვა ის მიზეზები, რომლებიც დიდ-ხანს აფერხებდნენ საზოგადოებრივს პროგრესს. არც ერთს მოვლენას არა ჰქონია ისეთი დიადი შედეგი ჩვენს დროში ადამიანთა ურთი-ერთობის გაუმჯობესობისათვის, როგორც მეცნიერულს კვლევა-ძიებას. დღეს-დღეობით გამოკვლეულია ბიოლოგიისა და სოციოლოგიის მეოხებით უმთავრესი კანონები მსოფლიო ცხოვრებისა და ვინ იცის შემდეგში კიდევ რა თვალ-მიუწვდომელ სიმაღლემდის აიწევს ძლევა-მოსილობა მეცნიერებისა.—ნეტარება იმ კაცს, რომელსაც ჭეშმარიტების კვლევა-ძიება გაუხდია ცხოვრების მიზნად და ამ მიზანს გულ-შეუცვლელად ემსახურება. ნეტარება ჭეშმარიტს მეცნიერს! ნეტარება-მეთქი, მისთვის რომ, თუმცა მეცნიერის გზა ეკლიანია, მაგრამ, როდესაც ამ გზას გაივლის, მას მოელის უდიდესი ზნეობრივი კმაყოფილება, ვინაიდან მისი შრომით გაბედნიერებული ქვეყანა მადლობით მოიხსენიებს უანგარო მუშაკის სახელს. დიდ-ბუნებოვან კაცთათვის ნივთიერი სასყიდელი კი არა პატივისცემა და უკვდავებაა ყველაფერზე მეტად სანატრელი.

იტყვიან,—მეცნიერი თავისს სამშობლოს კი არა მთელს ქვეყანას ეკუთვნის, ვინაიდან მეცნიერება ყველგან ერთსა და იმავე აზრს—ჭეშმარიტების კვლევა-ძიებას ემსახურებაო. უეჭველია, მეცნიერების მიზანი ყველგან კვლევა-ძიებაა, მაგრამ ისიც მართალია, რომ, მიუხედავად საზოგადო კვლევის მეტოდისა, ყველა ქვეყნის მეცნიერის ნაწარმოებს თავისებური დაღი ამჩნევია და ეს თავისებურობა არის შედეგი ნაციონალურის, ეროვნულის განსხვავებისა. ვერც ერთი მეცნიერი ვერ დაიჩემებს სრულს კოსმოპოლიტობას. ან კი რა სანატრელია ეს კოსმოპოლიტობა? განა ეროვნული ელფერი ღირსებას და ძალას აკლებს მეცნიერულს გამოკვლევას? პირიქით, ეროვნული თავისებურობა მეცნიერისა საზოგადოდ ხელს უწყობს მეცნიერების აყვავებას, აღორძინებას.

ჭეშმარიტნი მეცნიერნი, რომელთაც იცნობს ძველი და თანამედროვე ისტორია, განმსჭვალულნი არიან ეროვნულის იდეით; იმათ კარგად აქვთ შეგნებული, რომ ნამდვილი მეცნიერი სულით და გულით უნდა ეკუთვნოდეს ჯერ მის სულის ჩამდგმელს სამშობლო ქვეყანას და მერმეთ მთელს კაცობრიობას. არც ერთი დიდებული მეცნიერი არ დაკმაყოფილებულა თავისს მყუდრო კაბინეტში ან ლაბორატორიაში მთელის კაცობრიობისთვის და საზოგადო მეცნიერებისთვის მოღვაწეობით იმ დროს, როდესაც მისი ქვეყანა ითხოვდა მისგან სამსახურს. გენიოსი პასტერი, მამა თანამედროვე ქიმიისა ლავუაზიე, ბერტელო, ან კიდევ გელმგოლცი და ვირხოვი, რომლების მოღვაწეობაც შეადგენს ბრწყინვალე ეპოქას ბუნების-მეტყველების ისტორიაში, არიან გულ-მხურვალე მოტრფიალენი თავიანთის მამულისა. თუ იღვწიან ეს გენიოსები, იღვწიან უწინარეს ყოვლისა მისთვის, რომ განადიდონ, სხვა ერთა სათაყვანებლად გაჰხადონ სამშობლო მხარე. ეგ ეგოისტური გრძნობაა და გასაკიცხიც არის, თუ კი სამშობლოს ტრფობა და სიყვარული ეგოისტობად ჩაითვლება და გაიკიცხება. გენიოს ბერტელოს სწამს მეცნიერება სამშობლოს სასარგებლოდ. ის იღვწის არა მარტო როგორც მეცნიერი, არამედ როგორც ნამდვილი მოქალაქე თავის ქვეყნისა; ის გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებს სამშობლოს ვითარებას, შეყვარებულივით ყურს უგდებს მის გულის ძგერას და ყოველს წამში გამზადებულია თავი შესწიროს, მტლად დაედოს მისგან განდიდებულს საფრანგეთს. აჰა, მოადგა განსაცდელი საფრანგეთს. პრუსიელები შემოესიენ პარიზს და უპირებენ მას დაპყრობას. დადგა საშინელი წამი და სამშობლომ მოითხოვა დახმა-

ლით ქუთათურების შუამდგომლობა არ შეიძლება შეწყნარებულ იქმნეს“.

1895 წელს ნიაღვრებისაგან დაზიანებულ გზების გამსინჯავი კომისია ამ სიტყვებით ათავებს თავისს დასკვნას: „არა გვგონია, ქალაქ ქუთაისის მნიშვნელობა იმდენად დიდი იყოს, რომ მთავრობამ საჭიროდ სცნოს, ნაჩვენები მსხვერპლი შესწიროს იმას“; ამას რკინის გზის ეხლანდელი გამგეობა შემდეგს დასძენს: „კომისიის სიტყვების სიმართლე სრულიად დამტკიცდა და ეხლა ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ამ საქმის სხვაგვარი გადაწყვეტა შეუძლებელია“.

ერთი სიტყვით, ეხლანდელი უარი თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა უწინდელისა. ნუ თუ ქალაქის წარმომადგენელთ თავისს თხოვნაში ქალაქის სასარგებლოდ ახალი არაფერი უთქვამთ, რომ ასეთის ცივის უარით გამოისტუმრეს! ქალაქი ამ მოკლე ხანში უმაღლეს მთავრობის წინაშე აპირებს დეპუტაციის გაგზავნას ამ საგნის შესახებ, მაგრამ ეს საქმე აქვე ისე ცუდათაა მოწყობილი, რომ, თუ წარმომადგენლებმა ბევრი არ იმეცადინეს და უფრო დასაბუთებული შუამდგომლობით არ წარსდგნენ მთავრობის წინაშე, იქაც იმგვარსავე პასუხს მიიღებენ, როგორიც ბ-ნ ივანოვსკისაგან მიიღეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ საერო განათლების დეპარტამენტის დირექტორმა მოწერილობა დაუგზავნა სასწავლებელთა უფროსებს. მოწერილობაში აცნობებს, რომ სახელმძღვანელოების შეძენის დროს ყურადღება არ მიაქციონ ხოლმე სხვა-და-სხვა ფირმის განცხადებებს. ამ შემთხვევაში უფროსებმა უნდა იხელმძღვანელონ იმ კატალოგით, რომელსაც სამინისტრო ჰბეჭდავს.

◆ ჰფიქრობენ, მოადხინონ ბავშვთა სამზრუნველოების წარმომადგენელთა სრულიათ რუსეთის კრება.

◆ სათანადო დაწესებულებამ განმარტა, რომ სამრეწველო სკოლებში მასწავლებლობა იმ ინჟენერთაც შეუძლიანთ, რომელთაც უმაღლეს სასწავლებლის გათავების დიპლომები აქვთო.

◆ მომავალის წლის იანვარს პეტერბურგში, დიდის მთავრის დიმიტრი კონსტანტინეს ძის საპატიო თავმჯდომარეობით, მოხდება ბეითალთა კრება. კრება 16 საქციად იქმნება გაყოფილი. საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა მუშაობას. ამ კომიტეტის თავმჯდომარე ა. ე. არხანგელსკია.

◆ „ნიჟ. ლისტკ.“-ი შემდეგ ამბავს გადმოგვცემს ცნობილ მწერლის გორკისა და არა ნაკლებად ცნობილ მომღერალს შალიაპინზედ. 1888 თუ 1889 წელს ორივენი ყაზანში ყოფილან. ერთიცა და მეორეც მეტად ღარიბად სცხოვრობდნენ თურმე. გორკი ღამეებს ტივებზე ათევდა და ხშირად საკვებ პურსაც ვერა შოობდა. ასეთსავე არა სანუგეშო მდგომარეობაში ყოფილა შალიაპინიც. ამ დროს ანტრეპრენერი ორლოვ სოკოლოვსკი ხორს ადგენდა თურმე. შალიაპინსაც და გორკისაც მოუსურვებიათ ხორში შესვლა. გამოცდის დროს ლოტბარს ძალიან მოსწონებია გორკის ხმა და კიდეც მიუღია იგი ხორისტად; სამაგიეროდ დაუწუნია შალიაპინის ხმა. ლოტბარს უთქვამს, არავითარი ხმა არა გაქვთო. „ეტყობა“, კარგი ლოტბარი და მემუსიკე ყოფილა!

◆ აქსაიში, როგორც „ასტრ. გუბ. ვედ.“ გადმოგვცემს, საეჭვო ავადმყოფობა მოისპო. გაუქმებულ ქონებისა და ნივთების პატრონთ დაურიგეს სულ 13,000 მანეთი. გადადებული იყო ამ სოფელში ჭირთან საბრძოლველად 40,000 მანეთი, აქედან დაიხარჯა 22,927 მან. სულ პირველ აგვისტომდე ავად 30 კაცი გამხდარა, ხოლო მომკვდარა 17 კაცი.

◆ 16 აგვისტოს პეტერბურგის ოქის სასამართლომ განიხილა საინტერესო საქმე მომღერალ ქალის მანონისა (გვარი სარკისი აქვს), რომელიც სახელმწიფო რკინის გზებს 114,000 მანეთს ედავება. შარშან ეს ქალი ამიერ-კავკასიის რკინის გზით მიდიოდა. ბალაჯარის მახლობლად მატარებელი ლიანდაგს გადასცდა და რამდენიმე ვაგონი გადავარდა, რომლის დროსაც მანონიც დაშავებულა: სხვათა შორის ხუთი კბილი მოსტყდა თურმე. აი ამ კბილების გამო აუტეხნია დავა,—სიმღერას ვეღარ ვახერხებ და ზარალი ამინაზღაურეთო. სასამართლომ, გაიცნო რა საქმის ვითარება, დაადგინა, სხვა-და-სხვა სასამართლოების შემწეობით შეკრიბოს ცნობები მომღერალ ქალის მანონის შესახებ; უნდა მიჰმართონ ყველა ანტრეპრენერს, ვისთანაც-კი მანონი მსახურებდა.

პრესსა

„რუს. სლოვო“, ეხება რა საშუალო სკოლის რეფორმას, ამბობს, რომ მხედველობაში მისაღები მარტო სკოლის ესა თუ ის ტიპი არ არისო. რაც უნდა კარგის ტიპის სკოლა დააარსონ, ნაყოფი მაინც უმნიშვნელო იქმნება, თუ თვით რიცხვი სკოლებისა არ გადიდდებაო. ამ მხრივ საქმეს, გაზეთის აზრით, მოევლება კერძო სასწავლებლების დაარსებით.

თუ დღემდე კერძო საშუალო სასწავლებელთა რიცხვი მცირეა, ეს კიდევ არ ამტკიცებს კერძო ინიციატივისა და უნარის სისუსტეს. ბევრნი არიან მოწადინებულნი სხვა და სხვა ტიპის სკოლების დაარსებას, მაგრამ სულ ამათ განზრახვას აფერხებს და ხელს უშლის ის ძნელი პირობანი, რომლითაც შეზღუდულია კერძო ინიციატივა სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. უმთავრესი სწორედ ეს პირობანია, რომელთა შეცვლა-გაუქმებაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. იყო დრო, როდესაც სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში კერძო ინიციატივა უადგილოდ ითვლებოდა. მაგრამ მას შემდეგ დიდმა დრომ განვლო და ბევრმა რამემაც იცვალა ფერი.

კერძო ინიციატივა სწავლა-განათლების საქმეში,—განაგრძობს გაზეთი,—მეტად დიდ დახმარებას გაუწევს სამოსწავლო უწყებას. სიკეთეს კერძო ინიციატივისას უპირველეს ყოვლისა ის ბავშვები იგრძნობენ, რომელთაც წელსაც, როგორც წინად, სასწავლებლის კარები დაკეტილი დაჰხვდებათ. ეჭვი არ არის, ასეთ ბავშვთა რიცხვი წელს ერთიორად მეტი იქმნება, ვიდრე წინად იყო, რადგანაც რაც დრო და ხანი გადის, მით უფრო იზრდება სწავლის წყურვილი. კერძო საშუალო სასწავლებლის დაარსების პირობანი რომ გააადვილონ, ერთის წლის განმავლობაში ორმოცი და სამოცი სასწავლებელი დაარსდება, რომელნიც კარებს გაუღებენ სკოლის გარეშე დარჩენილ ყმაწვილებს.

* * *

სხვა და სხვა საკითხთა შორის, რომელნიც უნდა განიხილონ სასოფლო სამეურნეო საჭიროებათა კომიტეტებმა, არის საკითხიც მცირე კრედიტის საქმის განვითარების შესახებ. ამ საკითხს ეხება პროფესსორი სობოლევი გაზეთ „სიბირსკ. ჟიზნ“-ში და ამბობს, რომ მცირე კრედიტის საქმე ციმბირში ძნელად განვითარდება, ბევრად უფრო ძნელად, ვიდრე რუსეთის შიდა გუბერნიებშიო. ამის მიზეზად პროფ. სობოლევი იმასა სთვლის, რომ ციმბირში არ არსებობს „ადგილობრივი ორგანიზაცია, რომელიც უნდა განაგებდეს მცხოვრებთა ეკონომიურსა და სხვა საჭიროებათაო“, ესე იგი, ადგილობრივი თვით მმართველობაო. ესადგილობრივი ორგანიზაცია, ამბობს ბ. სობოლევი,

> მჭიდრო კავშირით უნდა იყოს შეერთებული ადგილობრივ მცხოვრებთან და საუკეთესო გამომხატველი უნდა იყოს ადგილობრივ საჭიროებათა; ამასთანავე თავი უნდა მოუყაროს მცოდნე და გამრჯელ მოღვაწეთ, რომელნიც მზად არიან ემსახურონ ადგილობრივ ინტერესებს. ციმბირშიკი სულ სხვასა ვხედავთ. ადგილობრივ მცხოვრებთა ეკონომიურსა და სხვა საჭიროებათა საქმეთ განაგებს საგუბერნიო და სამაზრო ადმინისტრაცია. ამგვარს ორგანიზაციას არ ძალუძს მჭიდრო კავშირი იქონიოს ხალხთან, იცოდეს ყოველი მისი გაჭირვება, შეეძლოს შესაფერისად დააკმაყოფილოს მისი მოთხოვნილებანი. მეორეს მხრით ადმინასტრაცია ათას გვარ საქმით არის დატვირთული და დრო არა აქვს, არც ძალა და ცოდნა შესწევს განახორციელოს რომელიმე ცოტად თუ ბევრად რთული რეფორმა. ცხადია, თუ გვინდა რამე საქმე მოვაწყოთ ციმბირში, პირველად უნდა ვიზრუნოთ იმ ორგანიზაციაზე, რომელმაც უნდა იკისროს ამ საქმის განხორციელება.

ამ მოსაზრების ძალით, პროფ. სობოლევი დასკვნის, რომ, რაც უნდა კარგი პროექტი შევთხზათ მცირე კრედიტის ორგანიზაციის შესახებ ციმბირის სოფელში, თუ ამ საქმის მოწყობა ერობას არ დაევალა, კარგ ნაყოფს ვერ მოიტანსო; სადაც ხალხი და ადგილობრივი საზოგადოებრივი ელემენტები ერთმანეთისაგან დაშორებულნი არიან, იქ ყოველი ცოცხალი საქმე მოკვდებაო.

რასაკვირველია, პროფ. სობოლევის აზრი მარტო ციმბირს არ შეეხება, არამედ ყველა იმ განაპირა ქვეყნებს, სადაც ჯერ ერობა არ არსებობს.

საერო განათლების მინისტრის ცირკულიარი

(15 აგვისტოს 1902 წ. № 21.600)

საერო განათლების სამინისტროს შეუმუშავებია სხვა-და-სხვა საშუალება იმისათვის, რომ მოსწავლეთა ჯანმრთელობის განვითარებას ხელი შეუწყოს და მოსწავლეთა შრომაც უფრო გაწეს-რიგებული იქმნეს. ეს საშუალებანი იმ სამოსწავლო წლიდანვე უნდა შემოიღონ საშუალო სკოლებში. ხელმწიფე იმპერატორმა ამ თვის 5 რიცხვს კეთილინება და დაამტკიცა განათლების მინისტრისაგან წარდგენილი პროექტი ზემოხსენებულ საშუალებათა წესებისა. ამ წესების ძალით საშუალო სკოლები მოვალენი არიან აასრულონ შემდეგი:

ა) ვინაიდგან მოსწავლე მეტად იღლება სწავლის დროს, საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭო—ვაჟთა, თუ ქალთა სკოლებისა—თუ საჭიროდ დაინახავს, მოვალეა მომავალ წლის განმავლობაში კვირაში ერთი დღე, თუნდაც უქმი არ იყოს, გაანთავისუფლონ მოსწავლენი სწავლისაგან, მაგრამ ეს თავისუფალი დღე უთუოდ უნდა მოახმარონ სხვა-და-სხვა ექსკურსიებს, შესანიშნავ ადგილების დათვალიერებას, წიგნების კითხვასა და სხვანაირად სასარგებლოდ დროს გატარებას. სწავლისაგან განთავისუფლება ყოველს შემთხვევაში არ უნდა აღემატოს მთელის წლის განმავლობაში შვიდ დღეს.

ბ) მოსწავლის სკოლაში ცხოვრება დიდად დამოკიდებულია თვით მოსწავლის ჯანმრთელობისაგან, ამისათვის პედაგოგიურ საბჭოს მხოლოდ მაშინ შეუძლიან ადვილად გაიგოს ეს დამოკიდებულება, თუ საბჭოს რჩევაში ექიმსაც ექმნება მონაწილეობა. ამისათვის

რება შვილებისაგან. დაჰხე, რა ამბავშია გულმხურვალე პატრიოტი ბერტელო: ის სტოვებს მყუდრო სამეცნიერო მოღვაწეობას, სტოვებს კაბინეტს, ლაბორატორიებს; ხდება ბელადად „პარიზის დამცველ ნაციონალურ საზოგადოებისა“ და მთელს თავისს ცოდნას და გენიოსობას ახმარს ამ ქალაქის დაცვას: იგონებს სხვა-და-სხვა ასაფეთქებელს ნივთიერებას, ამზადებს საბრძოლველს იარაღებს და მოქმედობს ისეთის თავ-განწირვით, რომ ყოველს წამში მისი სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია, როგორც უკანასკნელის ჯარის კაცისა. იწვის და იდაგება მეცნიერი-პატრიოტი სამშობლოს უბედურების, მის დამცირების შემხედვარი...

საფრანგეთი, რაც არ უნდა დაამცირონ, დიდებული ყოფილა და დღესაც მომხიბლავად კაშკაშებს მისი ბედის ვარსკვლავი. ხოლო ჩვენ... ჩვენი ბედის ვარსკვლავს დიდი ხანია დააკლდა ელვარება და ძლივსღა ბჟუტავს, და ეს არის მიზეზი უწინარეს ყოვლისა „მისთა შვილთა უიმედობის“... რა საჭიროა განვიახლოთ წყლულის სიმწარე, რა საჭიროა მოვიგონოთ ჩვენი ქვეყნის მრავალ-ტანჯულობის ისტორია! ეხლანდელს კაცობრიობას სიბრალულით ვერ აუძგერებ გულს. ერთა ურთიერთობაში კი არა კერძო ადამიანთა ურთიერთობაშიაც სიბრალული მეტ ბარგად არის ეხლა მიჩნეული. ბრძოლა, ბრძოლა, მაგრამ მამა-პაპური კი არა, ესე იგი ხმლით, ეხლა საჭიროა ბრძოლა გონების იარაღით—მეცნიერებით, ცოდნით, განათლებით. მაგრამ სად-ღა არიან მებრძოლნი? დავძაბუნდით, დავბეჩავდით, რადგან ჩვენმა უკიდურესმა პესსიმისტობამ, განწირულებამ დაგვაკარგვინა რწმენა ჩვენის ძალღონისა, ჩვენის ეროვნულის ნიჭისა. ჩვენს ურწმუნობას არა სწამს ჩვენი ბედის მობრუნება, არა სწამს ჩვენი სიკეთე, არა სწამს არც ქართველის მეცნიერობა, ვინაიდგან ჩვენს ხრიოკს ნიადაგზე შეუძლებელია აღმოცენდეს იმისთანა მაღალი კულტური მცენარე, როგორიც არის მეცნიერება.

მაგრამ, როდესაც პატივცემული ვ. პეტრიაშვილისთანა მეცნიერი თვალწინ გვიდგა, რა საფუძველი აქვს ჩვენს განწირულს უსასოობას, ჩვენს დემონურ ურწმუნობას? პროფესსორმა პეტრიაშვილმა თავისის მაგალითით ჩვენც დაგვიმტკიცა და მთელს კაცობრიობასაც, რომ ისტორიულის უსამართლობით დამცირებულს ქართველს ერსაც მინიჭებული აქვს ღვთისაგან მადლი ჭეშმარიტების კვლევა-ძიებისა. მგონია, იყო დრო—და არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ,—როდესაც ზოგიერთ რუსის პროფესსორებს ეგონათ, რომ დაბალი კულტურის ხალხი, როგორც მაგალითად ქართველები, მოკლებულია იმ ნიჭს, რომელიც მეცნიერისათვის აუცილებელი საჭიროა. პროფესორ პეტრიაშვილის მეცნიერული მოღვაწეობა ცნობილია ეხლა როგორც რუსეთში, ისე ევროპაშიაც და უთუოდ ყველგან იციან ისიც, რომ ბ. პეტრიაშვილი ქართველია. მარტო ამაში არ არის უდიდესი მნიშვნელობა ჩვენი საყვარელი მეცნიერისა, რადგან ჩვენ ეხლა სხვა მეცნიერებიც გვყავს და ზოგიერთი მათგანი დიახ ცნობილია რუსეთშიაც და ევროპაშიაც. უპირატესობა ბ. პეტრიაშვილისა მდგომარეობს მის გულ-მხურვალე მამულისშვილობაში, მის ეროვნულს იდეალში. ის გულ-გაუტეხელი მოტრფიალეა თავის ქვეყნისა და კიდევ სჯერა მისი აღორძინება. გენიოს ბერტელოსავით მასაც ყური უგდია უცხოეთში გადახვეწილს სამეცნიერო ლაბორატორიიდან სამშობლოს გულის ძგერისთვის, მისი ტანჯვით ტანჯულა, მისი ლხენით ულხენია. ბ. პეტრიაშვილს სრული სიმართლე აქვს დღეს მიმართოს თავისს სამშობლოს იმგვარივე მაღალ-გრძნობიერის სიტყვებით, როგორითაც ტომას მური მიმართავს ირლანდიას:

ჰოი, ტანჯულო, მაგ მწუხარის სახით შენითა,
უიმედობის წყლულით გულში, თვალში ცრემლითა
შენ უტკბესი ხარ ჩემთვის ყოველი იმა ქვეყნებზე,
თავისუფლების რომელთ ათბობს მშვენიერი მზე.

მერე რა რომ საქართველო დიდებული საფრანგეთი არ არის? განა ბერტელო რომ ქართველი ყოფილიყო, ქართველობას ითაკილებდა?! თითონ ჩვენ ვართ ჩვენივე ურწმუნობით დაბეჩავებული, თორემ ჩვენი ქვეყანა მომხიბლავ სიმშვენიერესთან ერთად აღურიცხველ სიმდიდრით არის დაჯილდოვებული. ჩვენ, უმეცრებს, ვერ მოგვიხმარია და ეგ სიმდიდრე ახარებს გულს უცხოელებისას. ლატაკ-მშიერნი სხვის კარებს ვაწყდებით და ჩვენს კარ-მიდამოებში კი სხვები მილიონების საღირალს სიმდიდრეს ჰპოულობენ. ეს მისთვის, რომ მეცნიერების შუქი ჯერ არ მოჰფენია ჩვენს მხარეს. როდესაც ბ. პეტრიაშვილისთანა ეროვნულის იდეით გამსჭვალული მეცნიერი ბევრი ეყოლება ჩვენს ქვეყანას, აი მაშინ უნდა მოველოდეთ მის აღორძინებას. აი ის ჩვენი ბუმბერაზი მთები, რომლებიც დღეს ყოვლად უხმარნი არიან ჩვენთვის და გვანცვიფრებენ მხოლოდ სიდიადით, როგორც ბუნების საკვირველებანი, მაშინ გარდაგვიშლიან სხვა-და-სხვა ძვირფას მადნეულობით სავსე გულს და სიმდიდრის სხივს მოჰფენენ ქვეყანას. ამ სხივის ძალით წელს გაიმართავს მაშვრალი მუშა, რომელიც დღეს ლუკმის მონად გამხდარა, და ცოდნის ხმლით უწინარეს ყოვლისა შემუსრავს იმას, ვინც წინად მის მხსნელად და მფარველად მიაჩნდა...

თუ ერისგან თაყვანისცემას და დიდებას მოითხოვს, ყველა მეცნიერი ჩვენში ბ. პეტრიაშვილის გზას უნდა დაადგეს, ესე იგი ემსახუროს მეცნიერებას და თანაც ახსოვდეს, რომ ამ სამსახურმა მის ქვეყანას რაიმე უნდა არგოს. ჩვენი ქვეყანა დაქვეითებულია და ჩვენს მეცნიერებს ჰმართებთ ხელის გამოღება, ვინაიდან ისინი აღჭურვილნი არიან თანამედროვე იარაღით. საჭიროა გულ-მხურვალე მამულისშვილობა მათის მხრით, საჭიროა მსხვერპლიც. ჩვენს მეცნიერს, თუ უნდა უკვდავება მოიპოვოს, მუდამ თვალწინ უნდა ჰყავდეს ბრწყინვალე იდეალად ძველის დროის დიდებული მათემატიკოსი არქიმედი, რომელმაც სამაგალითო მოწამებრივის სიკვდილით დაამტკიცა, თუ რა თავ-დადებამდის შეუძლია მიიყვანოს მამულის სიყვარულმა მეცნიერი.

რასაკვირველია, ჩვენ ვერ მოვსთხოვთ ყველას არქიმედისებურ თავ-დადებას, მაგრამ ჩვენ არა გვწამს ის მეცნიერი, რომელიც არ არის გამსჭვალული ეროვნულის პრინციპით.

სახელი და დიდება ვ. პეტრიაშვილს მარტო მისთვის კი არა, რომ მან თავი შესწირა მეცნიერებას,—უფრო იმისთვის, რომ მეცნიერულ მოღვაწეობას მან წინ წაუძღოლა სამშობლო ქვეყნის სარგებლობა.

ილ. პონჭელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველს სკოლას ექიმი უნდა ჰყავდეს და საბჭომაც სავალდებულოდ უნდა მიიწვიოს კრებაზე იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეთა ფიზიკურ განვითარებისა, თუ ვარჯიშობის შესახებ ლაპარაკი ჩამოვარდება.

ამას გარდა, განათლების მინისტრი ავალებს საშუალო სკოლის მთავრობას: ა) გაკვეთილებს შუა შესასვენებელ დროს მოუმატონ. პირველი და მეოთხე შესასვენებელი დრო 10 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს, მეორე—10-დან 20 წუთამდე, მესამე-კი—30 დან 40-მდე. პედაგოგიურ საბჭოს ნება ეძლევა, თუ საჭიროდ დაინახავს, სწავლება დღეში ორჯელ მოხდეს, მაგრამ ისე, რომ პირველსა და მეორეს შუა 2—3 საათი იყოს სადილისათვის და დასასვენებლად. ეს წესი უთუოდ ყველა სკოლებისათვის ერთნაირად უნდა იქმნეს შემოღებული, თუ რომელსამე ქალაქში რამდენიმე სკოლაა.

გ) კვირა-უქმეების მომდევარ დღეებისათვის მოსწავლეს არ უნდა ჰქონდეს მეტი სამუშაო, რადგან ამ დღეებში საჭიროა მოსწავლემ მართლა კარგად შეისვენოს.

დ) თუ პედაგოგიური საბჭო შესაძლებლად დაინახავს, სადილს შემდეგაც შეუძლიანთ მოიწვიონ მოსწავლენი და მოამზადებინონ მიგაკვეთილი.

ე) სკოლის მთავრობა მოვალეა ისე მოაწყოს საქმე, რომ მოსწავლეებს სკოლაშივე ჰქონდესთ საუზმე ცხელი საჭმელებისა, ან ჩაი. საუზმე რაც შეიძლება იაფ ფასად უნდა მოახერხონ.

ფიზიკურ ვარჯიშობის შესახებ მინისტრი ავალებს: ა) მმოძრავი თამაშობა გაჰმართონ სკოლებში; ამას გარდა, დაბალ და საშუალო კლასებში კარგია სამხედრო გიმნასტიკის შემოღება. უფროს კლასებში სხვა-დასხვა იარაღებით ვარჯიშობა უნდა იქმნეს შემოღებული; ბ) ფიზიკური ვარჯიშობა უთუოდ ყოველ დღე უნდა იყოს ნახევარი საათი მაინც, მაგრამ ისე, რომ ყველა გაკვეთილებ შუა მოჰხვდეს; ყოვლად შეუძლებელია პირველ ანუ უკანასკნელ გაკვეთილზე ავარჯიშონ მოსწავლენი. გ) სათამაშოებსა და გიმნასტიკის გარდა, კარგია ყინულზე ცურაობა, წყალში ცურაობა, ველოსიპედით სიარული, ხელ-საქმე, ცეკვა, სიმღერა და მუსიკის სწავლება.

მინისტრი ავალებს სკოლის ადმინისტრაციას, ფრთხილად იყავით ფიზიკურ ვარჯიშობის შემოღებაში, რომ სუსტი, ან ავადმყოფობისაგან დასუსტებული მოსწავლე საფრთხეში არ ჩავარდეს, უარესი არ დაემართოს; ამიტომ ასეთი მოსწავლენი მხოლოდ სასკოლო ექიმის ნება-რთვით უნდა მიიღებდნენ ფიზიკურ ვარჯიშობაში მონაწილეობას. საზოგადოდ ფიზიკური ვარჯიშობით არასოდეს ძალა არ უნდა დაატანოთ მოსწავლესაო—ავალებს მინისტრი—და ყოველთვის ისე უნდა ავარჯიშოთ იგი, როგორც ამას მოსწავლის ბუნება მოითხოვსო. თუ მოსწავლე ხალისიანად არ მოეკიდება ამ ვარჯიშობას, იმ შემთხვევაში ვარჯიშობა უნაყოფოდ ჩაივლის მოსწავლისათვისაო.

სასამართლო

საქმე ბოქაულად ნამყოფის არდიშვილისა

1901 წელში ქუთაისის ოლქის სასამართლოს განუხილავს საქმე შორაპნის მაზრის ჭიათურის სამრეწველო ბოქაულად ნამყოფის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა სახელმწიფო ფულის გაფლანგვა. ოლქის სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბოქაული არდიშვილი და გარდაუწყვეტია პირადად თუ მდგომარეობით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ორის წლით გაგზავნა. არდიშვილს საქმე გადაუტანია სამოსამართლო პალატაში, რომელსაც შეუცვლელად დაუმტკიცებია ოლქის სასამართლოს განაჩენი, მაგრამ ამასთან გადაუწყვეტია, შუამდგომლობა აღიძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ არდიშვილს ოლქის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი სასჯელი შეეცვალოს სამსახურიდან დათხოვნით. არდიშვილი არც პალატის გარდაწყვეტილებას დასჯერდა და საქმე სენატში გადაიტანა, მაგრამ სენატს ამა მიმდინარე წლის აპრილში ტფილისის პალატის გარდაწყვეტილება შეუცვლელად დაუმტკიცებია. არდიშვილს ხელმწიფე იმპერატორისათვის უთხოვნია ეპატიებინათ მისთვის სასჯელი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და ნ. ნ. არდიშვილს სასჯელის სრულიად აპატივა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21 აგვისტო

სოფია. არა მართლდება მიხაილოვსკის დაპატიმრებისა და სარაფოვის წასვლის ამბავი.

ხარკოვი. უკვე შეუდგნენ ჯარის გზავნას კურსკის აღლუმებზე.

სუვალკი. მსროლელთა მე-5 ბრიგადა და მსროლელთა მე-5 საარტილერიო დივიზიონი უკვე წავიდნენ კურსკში აღლუმებზე.

ხარკოვი. საარქეოლოგო კრების შემდეგ სექციებზე წაიკითხეს მოხსენებანი: საისტორიო, საგეოგრაფიო, საეტნოგრაფიო და საეკლესიო სიძველეთა.

ვარშავა. აქაურმა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა შუამდგომლობა აღძრეს მიწათმოქმედების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ პოლონეთის გუბერნიებზედაც გავრცელებულ იქმნას კანონი სხვის ადგილებში სარწყავ არხების გაყვანის უფლების შესახებ.

მოსკოვი. საძირკველი ჩაჰყარეს ქალაქის სამაგალითო სკოლის შენობისა. ამ სკოლაში 1200 მოსწავლე იქმნება ორივე სქესისა. შენობა დაჯდება 230,000 მანეთად.

სოლოვეცის მონასტერი. 17 აგვისტო. სოლოვეცის მონასტერმა იდღესასწაულა 200 წლის შესრულება მას შემდეგ, რაც ეს მონასტერი პეტრე დიდმა ინახულა. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა მოხელეებმა და სამხედრო გემებმა. გადახდილ იქმნა პარაკლისი. პარაკლისში მონაწილეობა მიიღო მოხუცმა მთავარ-დიაკონმა, რომელიც მოწმეა იმ დროსი, როდესაც ინგლისელებმა ალყა შემოარტყეს მონასტერს. გემებიდან ზარბაზნები დასცალეს. 16 აგვისტოს ესკადრა ზაიაცის კუნძულებთან დადგა, სადაც პეტრეს მიერ აგებულ ეკკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი. 17 აგვისტოს ესკადრა წავიდა მონასტრიდან.

შანხაი. დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლიდა ინგლისის სავაჭრო ხელშეკრულების დადებას, აცილებულ იქმნა მეორე საიმპერატორო ედიქტის გამოქვეყნებით. მცირე სარედაქციო ცვლილებამ შეიძლება ხელის მოწერა 2—3 დღით დააგვიანოს.

პეტერბურგი. 21 აგვისტოს პარიზში წავიდა დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე.—21 აგვისტოს საბერძნეთის მეფე გარეშე საქმეთა მინისტრთან იყო.

22 აგვისტო

ბერლინი. იმპერატორის ბრძანებით გაუქმებულ უნდა იქნას პოზნანში, მდინარე ვარტის მარცხენა ნაპირზე, ქალაქის ციხე და აგრეთვე ფორტი გაგე.

სოფია. გენერალ ცონჩევის გარდა, რომელიც ვიცე-პრეზიდენტია მაკედონიის ძველი უმაღლესი კომიტეტისა, გუშინ პოლიციამ დააპატიმრა ამავე კომიტეტის წევრი პოლკოვნიკი ნიკოლოვი. მათ ბრალდებათ ბრბოს შედგენა. ორივე დაიჭირეს დუბნიცასთან, საზღვრის ახლო და ჩრდილოეთ ბოლგარეთში გადაიყვანეს დროებით დასატუსაღებლად დრენოვსა და ბალჩიკში.

ხარკოვი. არხეოლოგიურ კრებაზე წაკითხულ იქმნა მოხსენება აინალოვისა, კულაკოვსკისა, სისოევისა, მოჩულსკისა, ვასილენკოსი, პოკროვსკისა და სლუცკისა.

პოზნანი. იმპერატორმა შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა ბანკეტზე პროვინციის მუზეუმის სადგურში: „არმიის მეხუთე კორპუსის პარადს მისი უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის ნებართვით დაესწრნენ ვარშავის გენერალ-გუბერნატორი და პოლკების დეპუტაციები, რომელთა შეფი მე ვარ; გულით გესალმები მათ და გეცხადებ ჩემ სიხარულს, რომ დღეს ისინი აქ შეიკრიბნენ; ამიტომ გიწვევთ ჩემთან ერთად დალიოთ სადღეგრძელო რუსეთის არმიის უმაღლეს მხედართ-მთავრის, მის უდიდებულესობის იმპერატორის ნიკოლოზისა, რომელიც ჩვენთან ერთგულად შეკავშირებულია თოფ-იარაღით. ურა, ურა, ურა!“ მუსიკამ რუსეთის ჰიმნი დაუკრა.

პოზნანი. სადღესასწაულო სადილზე იმპერატორმა წარმოსთქვა სადღეგრძელო რუსეთის იმპერატორისა. ორკესტრმა დაუკრა რუსული ეროვნული ჰიმნი. შემდეგ იმპერატორმა წარმოსთქვა მეორე სადღეგრძელო რომლითაც შეაქო გამძლეობა კორპუსისა დღევანდელ პარადში. გამოსთქვა ნდობა სამხედრო საზოგადოებისადმი და დასასრულ წარმოსთქვა „ურა“ მეხუთე კორპუსის პატივსაცემლად. მუსიკამ დაუკრა იორკის მარში. გენერალმა შტიულპნაგელმა უპასუხა მადლობით, „hoch“-ით იმპერატორის პატივსაცემლად.

იმპერატორმა რუსის გენერალ გუბერნატორს ჩერტკოვს უწყალობა შავი არწივის ორდენი; პეტერბურგის პოლკის კომანდირს გენერალ მაიორის მაკკნერს მეორე ხარისხის ორდენი გვირგვინისა ვარსკვლავით. ქალაქი გაჩირაღდნებული იყო.

პოზნანი. იმპერატორის ამალას აღტაცებით მიესალმნენ. პარადმა ჩაიარა ბრწყინვალეთ. დაესწრო ვარშავის გენერალ გუბერნატორი და რუსის აფიცრები. მორთულ შენობათა შორის თავიანთი სადღესასწაულო სახით განირჩეოდნენ არქიეპისკოპოსის სასახლე, სასულიერო სემინარია და ყველა კათოლიკების სახლები.

ნიუ-იორკი. სანადირო ეტლი, რომელშიაც რუზველტი იმყოფებოდა ამალით, დაეტაკა პიტსფილდსა და ლონკს შუა ელექტრონის რკინის გზის ვაგონს. რუზველტი სახეზე დაშავდა; კორტელიუ სუბუქად დაიჭრა; საიდუმლო პოლიციის აგენტი მოკვდა; ვაგონის კონდუქტორი დააპატიმრეს; ცხენები დაიხოცნენ.

ნიუ-იორკი. პიტსფილდიდან მოსული დეპეშა ამტკიცებს, რომ რუზველტი სუბუქად არის დაჭრილი.

პეტერბურგი. განათლების სამინისტრომ ნება დართო მომავალ სამოსწავლო წლიდან მიიღონ აფთიაქების თანაშემწენი, ებრაელნი, ლექციების მოსასმენად საექიმო ფაკულტეტების საფარმაცევტო განყოფილებებზე, პროვიზორების წოდების მოსაპოვებლად; მოსკოვის უნივერსიტეტში—ექვსი პროცენტი, წმ. ვლადიმირისა, ნოვოროსიისა, ხარკოვისა და ვარშავისაში—ოცი პროცენტი და ყაზანის, იურიევის და ტომსკისაში—თხუთმეტი პროცენტი თითოში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

მარგანეცის მრეწველთა
კრების საბჭო

ამით აცხადებს, რომ 1902 წლის 31 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ქ. ქუთაისში საბჭოს სადგომში მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლით **იჯარით გაიცემა** ჭიათურის სამრეწველო რაიონში **ორის გზის გაკეთების** საქმე; გზები გასაკეთებელია „ნაფარცხევ-გოგოლაურ“-სა და „კოკოცაურ“-ში, სულ 8724 მანათისა და 33 კაპ.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარუდგინოს საბჭოს გირაოდ სამუშაოს ღირებულობის 10% ნაღდი ფულით ან მთავრობის მიერ უზრუნველ ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით (გირავნობის მოწმობები არ მიიღებიან).

ხარჯთ-აღრიცხვისა და გეგმის გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. ვაჭრობის დამტკიცება თუ არ დამტკიცება საბჭოს სრულს უფლებას შეადგენს.

(ნ. 3—1)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 26 აგვისტოს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიცემა შემდეგ ადგილების დაგებისა და მოკირწვლის საქმე: 1) საქმე № 282—1900 წ. კახეთის გზა-ტკეცილისა და ლაზარევის ქუჩის ნაპირებისა, სულ 1100 ოთხ-კუთხი საჟენი, სამუშაო 2750 მანეთისაა; 2) ს. № 394—1902 წ. ფალავანდოვის ქუჩის ნაწილისა, კახეთის გზა-ტკეცილიდან დაწყებული, სულ 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 3) ს. № 446—1900 წლ. გზისა ლიანდაგის გასასვლელიდან კაპჩეროვის ქუჩამდე, 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 4) ს. № 575—1902 წლ. გზისა კახეთის მოედნიდან ხოჯივანქის სასაფლაომდე, 300 ოთხ-კუთხი საჟენი, 900 მანეთისა; 5) ს. № 578—1902 წლ. მნაცაკანის აღმართისა, კახეთის გზა-ტკეცილიდან დაწყებული, 100 ოთხ-კუთხი საჟენი, 300 მანეთისა.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის საამშენებლო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეებს გარდა, დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

(3—2)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მამად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

დიდი ვერცხლის მედალი

[illegible] 1901 წლის გამოფენაზე

ახალი სახურავი,
რომელზედაც პატენტია აღებული

ფაბრიკა და საცინკო ქარხანა

ი. შელენგოვსკის
და
ამხანაგობისა
ბათუმში.

პლასტინები და სახურავის ყველა ნაწილები ცინკით მოკალულ რკინისა.

პრეის-კურანტი მოთხოვნისათანავე მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

ამხანაგობის წარმომადგენელნი:
ტფილისში ზ. მულიარსკი
(ერევნის მოედანზე № 25)
ქუთაისში ვ. ჭილაძე
(ტფილ. ქუჩა საკუთ. სახ.)

(50—14)

დიდხანს გამძლეობა და იაფი სახურავი

არ სჭირია შეღებვა, მსუბუქია და ადვილად დასადგმელი.

Дозв. ценз. Тифлисъ, 22 Августа, 1902 г.

ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва).